



ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №34

2015 წლის 3 აპრილი

ქალაქი გორი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები დანართის 1-ის შესაბამისად. (დანართი 1 თან ერთვის 1(ერთი) ფურცლად)

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონით გათავალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაპუნა კობერიძე

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები

1. სტალინის გამზირიდან თამარ მეფის ქუჩაზე (გურამიშვილის ქუჩის მიმართულებით) აიკრძალოს სატვირთო ავტომობილების მოძრაობა;
2. ჭავჭავაძის გამზირის მონაკვეთზე სამეფოს ქუჩიდან გურამიშვილის ქუჩამდე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა (ცალმხრივი მოძრაობა სამეფოს ქუჩიდან გურამიშვილის ქუჩის მიმართულებით);
3. გურამიშვილის ქუჩის მონაკვეთზე ჭავჭავაძის გამზირიდან თამარ მეფის ქუჩამდე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა (ცალმხრივი მოძრაობა ჭავჭავაძის გამზირიდან თამარ მეფის ქუჩის მიმართულებით);
4. სამეფოს ქუჩის მონაკვეთზე თამარ მეფის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირამდე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა (ცალმხრივი მოძრაობა თამარ მეფის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით);
5. რუსთაველის ქუჩის მონაკვეთზე ჭავჭავაძის გამზირიდან წერეთლის ქუჩამდე, წერეთლის ქუჩაზე და ლომოურის ქუჩის მონაკვეთზე წერეთლის ქუჩიდან გარსევანიშვილის ქუჩამდე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა (ცალმხრივი მოძრაობა ჭავჭავაძის გამზირიდან გარსევანიშვილის მიმართულებით);
6. რობაქიძის ქუჩის მონაკვეთზე დ. ამილახვრის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირამდე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა (დ.ამილახვრის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით)
7. ცხინვალის გზატკეცილზე მონაკვეთი პაპიტაშვილის ქუჩიდან კარალეთის დევნილთა ჩასახლებამდე, ძველსა და ახლად ჩამოყალიბებულ გზებზე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა.
8. მშვიდობის გამზირსა და ჭონქაძის ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ შუქნიშანზე განხორციელდეს შემდეგი სახის რეგულირება:
 - ა) მშვიდობის გამზირიდან მომავალ ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის მარცხენა ზოლზე მოძრაობა განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირ;
 - ბ) ლიახვის ხიდიდან მიმავალი ავტოსატრანსპორტო საშუალება პირდაპირ და მარჯვნივ მოძრაობისას გაეზარდოს მოძრაობის დრო;
 - გ) შინდისის გზატკეცილის მხრიდან მომავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის მარჯვენა ზოლში მოძრაობა განხორციელდეს ყველა მიმართულებით;